

დროება

გამოდის ყოველ-ღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განსხვავდება

დღი ასაკით ასაკზე 1კაპ., ნეულებრივის ასაკითა...
რულოთ ასაკზე ნახევარი კაპ. ნეულებრივის ასაკით ასაკ...
ზე შეთანხმდა კაპ.

თუ ხაზინა არა მოახსახვს, რედაქცია ვასწარავს და
შეამოკლებს დასაჯებად კაპოკ სავსად წმინდებს. დიუ-
ბუჯლო წმინდას რედაქცია თუშით კერ დაუბრუნებს
ბუჯლოს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-
ზედ.

რედაქცია

ხელის-მოწერა

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.

„დროებას“... 13 მან. . . 7 მან. . . 4 მ.

„დროებას“... 9 მან. . . 5 მან. . . 3 მ.

„დროებას“... 6 მან. . . 4 მან. . . 2 მ.

ივლისიდან წლის დასრულებამდე

დროება

დღის ხუთი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

ტელეგრაფები

კატარბურლი, ბრძანება გამოვიდა,
რომ ბრძანდეს მანდა ცალკე სა-
ბრძანებლოთ გადაკეთდეს.

პარისი, წარმომადგენელთა პალატი
და სენატი დაიხსნა.

სტამბოლი, 4 ივნისს. პარტის
განცხადება განდგინდა სავსით ნაც
სახელმწიფოთა ბუნდის კონფერენ-
ციის განდგენილობის შესახებ.

ტფილისი, 5 ივლისს.

ბუშნდელს ჩვენს ფელტონში
დაწერილობით იყო აღწერილი მე-
ლაის თავდაზნაურთა კრება სკო-
ლის შესაწირავის გაწერის თაობა-
ზედ.

ბევრი გრძობით სავსე სიტყვა
წარმოთქმულა ამ კრებაზედ და ამ
სიტყვებს სიამოვნებით წაკითხვად
ჩვენს მკითხველები. მათი განმეორე-
ბა მათ შთაბეჭდილებას თუ არ შე-
ამტკიცებს, არას მოუმატებს. ჩვენ
დღეს ვგსურს, ერთს გარემოებას მი-
ვაქციოთ მხოლოდ ყურადღება, რო-

მელიც კარგათ არ იყო გამოკვეთ-
ლი კრებაში.

ზოგიერთი წინააღმდეგი იყო შე-
საწირავის გაწერისა, ღარიბები ვართ,
სად შეგვიძლიან გარდასახადი ვიკის-
როთო.

ღიან, ბატონებო, ღარიბები ვართ
და კიდევაც იმიტომ უნდა ვიკისროთ
ეს გარდასახადი. შეველა ჩვენგანი ღი-
დი ქონების პატრონი რომ ყოფი-
ლიყო და შეიღებოს თავის ხარჯზედ
გამოზდა შესძლებოდა, ეს საქმეც
ალარ იქნებოდა დაწყობილი.

პირველადვე, როდესაც ამ საგან-
ზედ ლაპარაკი ჩამოვარდა, ამ საქმის
დამწყობთ აზრი ის იყო, რომ სოფ-
ლელ ღარიბ თავდაზნაურობისათვის
მიეცათ შეძლება გროშების ერთად
მოგროვებით თუმცა შედგენისა და
ამ ღარიბებისაგან შეგროვილის ფუ-
ლით ღარიბებისათვისვე სასწავლებლის
გამართვისა.

ღიან, ღარიბები ვართ და კიდევ
იმიტომ გვეჭირება შესაწირავის გა-
დანდა; მდიდრებისთვის ამ გვარი შე-
საწირავი საქრო არ არის. ეს თვითონ
საქმიანთა მტკიცდება: ღარიბები უფ-
რო სიამოვნებითა და სიხარულით
კისრულობენ ამ გარდასახადს, ვიდრე
მდიდრები.

იმათ კი ვინც ამტკიცებდა, ვი-
თომც ისე ღარიბები ვიყოთ, რომ
თუმცა, თუთხმეც ის მანეთის გარ-
დანდა არ შეგვეძლოს წელიწადში,
მიუგებთ თ. შიგა მაყაშვილის სიტ-
ყვებით, რომლითაც იმან გაათავა თა-
ვისი ჩინებული სიტყვა:

„ს. რუის პირში თითქმის 300
უმამულო კომლი ნაყმევია. თითოე-
ული კომლი, საშუალოდ რომ ესთქვათ
ხაზინის სასარგებლოდ იხდის 12 მა-

ნეთს ბევრის გარდა და კიდევ თითო
მანეთს თავის ნება-ყოფლობით სკო-
ლის სასარგებლოდ. თუ კი ერთი
სოფელი სახელმწიფო ხარჯის და
მეგრის გარდა ინახავს თავის ხარჯით
სკოლას შეიღების აღსაზრდელოდ,
ნუ თუ ჩვენ მთელს მართლ-მანეთის
თავდაზნაურთ არ შეგვიძლიან ერ-
თის სასწავლებლას შენახვა ჩვენისა-
ვე შეიღების აღსაზრდელოდ?“

შემაჯარი მანქანისა

მართი სასაცილო ბაქია მოჭიდავე
მინახავს. საოცარი უღონო და უხეი-
რო რამ იყო; საცა არ მინდა, წა-
მოეჩნებოდა, იჭიდავებდა და ერთხე-
ლაც ისე არ გადარჩენილა, რომ არ
გალახულიყო. მაგრამ—შენც არ მა-
მიკვდე — შუბლსაც არ შეიტოვდა
ხოლმე. იმისი სასაცილობა იქამდე
მიდიოდა, რომ როცა დასცემდნენ და
მაპირდაპირე ზედ დააჯდებოდა და
თავში უტყაპუნებდა ის ქვევიდამა-
ყვიროდა: „ჰი, მოგვდა თუ არაო.“
სწორედ ამ მოჭიდავეს მაგონებს ჩე-
ნი განთქმული ფილოსოფოსი ბატონ-
ნი ნიკოლაძე. რაც უნდა მარცხი მოუ-
ვიდეს, მაინც ყვირის: „ჰი, მოგვდათ,
თუ არაო.“ ბანა მარტო ბაქიაობით
უნდა აფხნათ ეს ასეთი სასაცილო
საქციელი. არა, ბატონებო, იქნება
ბატონი ნიკოლაძე ბაქიაც და ტყუილ-
უბრალო მკვებარაც არ იყოს, მაგრამ
ზოგიერთს კაცს ერთი ძნელად მო-
სარჩენი ჭირი ჰსჭირს ხოლმე. ზოგი
კაცია, რომ მოჩვენებითა ცხოვრობს,
ანუ უკედ ვსთქვათ, რაც აგონდება,
ის ეზმანება ხოლმე. მე მაგონია, რომ
ბატონი ნიკოლაძე ამ უკურნალის
სენით არის პატარა შეუძლოთ და

ამიტომაც ყოველთვის გამარჯვებული
ჰგონია თავისი თავი.

სწორედ ესე მოუვიდა ბატონს
ნიკოლაძეს „მზზორის“ № 516.
„ახლა აღარ დაიჯერებთო, ამბობს
ბატონი ნიკოლაძე „ივერიის“ და
„დროების“ მწერლებზედ: რომ უღო-
ნონი და უმეცარნი ხართო; რომ ჭი-
დილი არ შეგვიძლიანთ არავისთანაო.
როგორ არ მოგწყინდათო, რომ ყო-
ველთვის სისხლში მოსერილის ცხვირ-
პირით მოედნიდამ შინ ბრუნდებით
ხოლმეო.“ ძარგია, ღმერთანიცის,
ამისთანა ჩხავილი. თუ თვითონ არა
ჰაჯერა ეს თავისი ჩხავილი, სხვის
დაჯერებას მაინცა ცდილობს.

მაგრამ ყოველ ამაში სასაცილო
აი უფრო რა არის: მეორე ფილო-
სოფოსი, ბატონ ნიკოლაძის მოპირ-
დაპირე ბატონი სტადლინი ყოფილა
და ეს ბატონი სტადლინი, ამბობენ,
„მზზორის“ რედაქციის წევრიაო. თუ
ეს მართალია და თუ ისიც მართალია,
რომ ბატონ სტადლინის და ბატონ
ნიკოლაძის ფილოსოფიური და საპო-
ლიტიკო რწმენათა შორის ამოუცხე-
ბელი, უძირო სიღრმეა, მაშ რომელ
რწმენათა შორის ჰქონიათ ამ ორ
ფალოვანს გადებული შემაერთებელი
ხიდი? თუ ამავეში ერთმანეთს არ
ეთანხმებიან, მაშ რალათ შებმულან
ერთს უღელში? ისიც რა უღელში?
ბაზეთისაში? მოდი და ნუ იტყვიო,
რომ ზოგიერთის კაცის სიტყვა ჰკუთს
წინ ასწრობს ხოლმეო. მოდი და ნუ
ვაიციებთ კაცზედ, რომელიც ამბობს:
ჩემი და იმისი ფილოსოფიური და
საპოლიტიკო რწმენა შორი-შორს
არისო, მაგრამ მაგისთანა რწმენათა
გავრცელებისათვის კი ორნივე ერთად
ირჯებიან ერთსა-და-იმავე გაზეთში.

ფელსტონ

საქართველოზედ მდიდარი
არ არის ქვეყნის პირსაო,
შიგ სცხოვრობს ხალხი მუშ.კი,
ცარიელი აქვს ქისაო.

თუ აქვს რამ, თავისასა სჭამს,
არა უნდა-რა სხვისაო,
მასა აქვს საზრდო სამყოფი,
შველი და ერბო მთისაო;

ღვინო და პური ნაქები
მართლის და ძახეთისაო,
ჩოხა აცვია შალისა,
პერანგი სამოსლისაო;

უხვთა აცვია ქალმან
ნაქსოვი კაპებისაო.

შრომის მოყვარე, გამრჯელი,
მადიდებელი ღვთისაო.

იმის მამული მდიდარი,
ბადალი სამოთხისაო;
აქ ჩამოდიან ფრანკუნნი,
ბაზლიღნი პარიჟისაო.

სწავლისა, განათლებისა
მაჩვენებელი გზისაო;
მოსწონთ ეს ჩვენი ქვეყანა
ბადალი ედემისაო;

მასში მადნები მრავალი
ვერცხლის და შავი ქვისაო;
ნატრობენ ნეტავ ჩვენი ჰქნა,
არ იყვის ქართველისაო;

მაგრამ მას ჰქონდეს, არ გვინდა,
შნო ჰქონდეს გამართვისაო;

თუ არ მოუყლის იცოდეს,
აღრე გახდება სხვისაო.

თავისი ცოდნა რას უზამს,
ზოგიც მიიღოს სხვისაო;
მაგალითს ჩვენსას მიხედოს,
მით ძმამ მიიღოს ძმისო.

ამით ეშველოს, წინ წადეს,
თუ სავსე უნდა ქისაო,
თორემ გახდება საქმელად
ჩრდილი და ბალუსტისაო...

რალას ეუყურებთ, ვეცადოთ,
სწავლას მოგვიდოთ ხელიო,
რომ აღარა სთქვას ბალუსტამ,
„პრაცუა ჰკუა თხელიო.“

მეცადოთ, სწავლა მივილოთ,
მართმანეთს მივსცეთ მხარიო,

რომ მაშინ შევიმუშაოთ
ძვირ-ფასი მთა და ბარიო.

მზე მოგვყენს მაშინ თავის სხივს,
მტერს დაუდგება თვალიო
და მოგვეშორდება ჩრდილიკაც
დღეს ჩვენი ღუდით მთვრალიო...

ზღვებმა წიგნი ვისწავლოთ,
ეს არის ჩვენი ვალიო;
შვეყოფა რაც რომ გვეძინა,
ღროა გავალოთ თვალიო.

დაგვაკლდა კიდევ რჩევანი,
მთხოვეთ, რომ მოგვაპყრათ ყურიო:
აშენეთ ერთად ბედლები,
შიგ შეინახეთ პურიო;

მისაც ავიწერთ ქვემოთა,
იმათ უგდევით ყურიო;

მგონი თვითონ ბატონი ნიკოლაძეც სასაცილოდ აიგდებს თავის თავს ამის გამო, მაგრამ ზემოხსენებულ მოქიდავესათ მინც დაიძახებს: „ჰი, მოგხვდით თუ არაო“.

ჩიტრეკია.

ახალი ამბები

შოთილამ გეწერენ, რომ მალე შოთში კაცის ფოჩტა უნდა შემოვიდეთ, რადგან ფოჩტის კანტორა ისე დაძველებული და დაფუტურებულია, რომ კარგი ვაჭაკი უნდა იყოს, რომ შიგ შეფოფნდესო.

თვითონ წერილის მომწერი ერთს ხიფათს გადარჩენილა იქ შეძრომის დროს; დამპალი ჩარჩო მომძვრადა და მუხლზე დასცემია; კარგია თავში არ მოხვდა თორემ „ამბის მომძვანიც“ არავინ იქნებოდა.

ძარსილამ სწერენ ვაზეთს „ძავკახს“, რომ იმ მხარეში ყაჩაღობა ძალიან გავრცელებულია: რადენიმე კაცი მოუკლავთ ამ ახლო ხანში ძარსის არე-მარეში. ეს ამბავი თურმე ძალიან აწუხებს ახლად გადმოსახლებულს რუსებს და მკვიდრად დასახლებას უშლის.

ჩვენ მოგვივიდა ბ. ძარბელოვისაგან შემდეგი წერილი „მეფხვის-ტყაოსნის განგრძობის თავობაზედ“.

„ამბობენ: ვითომც ისრეთივე „მეფხვის-ტყაოსნის“ ბოლო, როგორც მე მაქვს, ჰქონდეთ ბ. მეუნარგიას, თ. რაფიელ შირთავს, ბ. ჰიჭინაძეს და თ.თ. მარბელიანებს. ამ „მეფხვის-ტყაოსნის“ საქმის ბოლოს მოსაღებლად და საცნობლად ნამდვილად შოთთა რუსთველისაა, თუ არა, საქიროა ყველა ვგზემპლიარნი მოვარგოვით ერთათ და ერთმანერთს შევადაროთ.

1841 წელს ბროსსეს, შალაგანდოვის და ჩუბინოვის გამოცემაში რამდენიმე ტაეზია, რომელნიც შემდეგ გამოცემებში არ მოიპოვებინ, მაგრამ ჩემს ხელ-ნაწერს „მეფხვის-ტყაოსნის“ ბოლოში კი ჩართულნი არიან“.

ამ წერილთან მოგვივიდა აგრეთვე გაგრძელება „მეფხვის-ტყაოსნისა“ და მალე „ივერიაში“ დაგებულად.

შოთის თვალის გადავლება კი მოვასწარიტ ამ „მეფხვის-ტყაოსნის“ და ვგონებთ, რომ რუსთველისა უნდა იყვეს. მინცა-და-მინც ეს გაგრძელება ჩვენის ლიტერატურისათვის საინტერესოა და ამის გამო „ივერიაში“ დაგებულად.

„დროების“ კორექტორი

ჯავახეთის ახალ-ქალაქი, 25 ივნისს. აგერ მეორე კვირაა, რაც მე ამ ჯავახეთში დავდივარ საქონლის სასყიდლათ და ამ ორის კვირის განმავლობაში ბევრი საყურადღებო ანბავი გავიგე და მოკლეთ გადმოგცემთ.

ამ თვის ნახევრილამ გაიყვანეს მუშა კალიის დასახოცათ ახალციხის მაზრაში, სოფელს რზველში, როგორც გავიგე, ერთი ნაცვალი კიდევ მოუკლამთ ამ საქმის გამო.

ეს ნაცვალი მოუკლამს თოფით უკან გამოპარულს მუშას, რადგანაც ნაცვალს რამდენიმე ჯოხი გადაუკრამს ზურგზედ, რათ გამოიპარეო. მუშას გაჯავრებულს იმევე ღამეს უღარაჯნია და, როგორც გამოსულა ნაცვალი კარზედ, უკრამს ტყვია და გადაუბრუნებია იქვე კარებზედ.

ახალ-ქალაქის მაზრაში მუშის მიცემას კი არა სწუხდენ, იმასა სწუხდენ, რომ არ იცოდენ საიდ გზაენიდენ.

ზოგი ამბობდა თბილისის ქვევით მიდიანო, ზოგი—რუსეთშიო და ამ ამბავმა შეაწუხა ხალხი. თუმცა მე ბევრი ველაპარაკე ბორის მაზრაში იგზავნებით და ნუგეშიანათ მეთქი, მაგრამ მე ვინ დამიჯერებდა, უბრალო ჩოდარს; აქაურმა პოლიციის მოსამსახურე პირებმა კი არა გააგებინეს რა, მხოლოთ მათრახების ცემას აგებინებდენ, ვინც ან ნაცვალი ან სხვა იკითხამდა რასმეს.

შოთს მამასახლისის თვითონ მაზრის უფროსმა აჰყარა ჯაჭვი და მის კანდიდატს გადაუგდო კისერზედ, რადგანაც პირველმა ვარი მოახსენა მუშის

გაკოლაზედ. ამ ვაივაგლახს არა სჯობდა, რომ ბ. ღროზდოვს ნამდვილათ გაეგებინებინა საცა გზაენიდა.

„მაის გავეყარეთ, ჰუის შევეყარეთ“ ერთმა ქართველმა მითხრა უფროსის შესახებ. ამას წინათ აქ იყო თურმე ჩინავრსკოი, რომელიც ყოველს გლეხის გაჭირებას ცივით უტყეროდა. კანცელარიილამ ფეხს არ ვაშოადგამდა. ენლა ეს კანცელარიიშიაც კი აღარ მიდის, შეკეტილა თავის სახლში და იძახის სტოლ ნაჩალიკმა აქ მომხსენოს ყოველი საქმეო.

24 ივნისს გაუყვანათ კიდევ მუშა ამ მაზრიდგან, მაგრამ კალიის სახოცად კი არა, ბორჯომილამ ახალ-ქალაქამდის მოკირწყულის გზის გასაკეთებლათ, რომელსაც აგერ რამდენიმე წელიწადი აკეთებენ და ბოლო ვერ მოუღიათ. მუშები ჩივიან უფასო მუშა კი გვინახაშს და უბატოი კი არაო; ჩვენ ორივეს მოკლებულნი ვართო.

აი კიდევ რა მიაბო ერთმა ქართველმა დილიციის საზოგადოებისამ: გუბერნატორის განკარგულებით დიდი ხანია დანიშნული ვართ მარძიის მონასტრის ყარაულათ დღეში შვიდი კაციო. ჩვენი საზოგადოების სომხების სხვა ბევრაზედ უნდა წავიდენ, მაგრამ რა ბძანებაა, როცა გაუჭირდებათ სომხები ხრიკს გვიგდებენ და სხვა ბევრაზედ გავვიგდებენ წინ და, თუ საქმე არა რის რა, მინდ უყალაურეთო. მთელი ომიანობი. დრომს ბევარაში ჩავგხოცეს; ენლაც კალიის სახოცათ გავგრეკეს და, როგორც წინა წლებში, ისე ენლა გზის გასაკეთებელათაც ჩვენ მივეყარათ. როდესაც მე უთხარ რატო მაზრის უფროს არ შეატყობინებთ მეთქი. იმან მიპასუხა: „მე დალოცილო მაზრის უფროსის ნახვას ვინ გვადირსებს და თუნდ ენახათ ჩვენი იმას არა ესმის რა, იმისი ჩვენაო;“

აბა წარმოიდგინეთ მარძიის მონასტრის დღეში შვიდი კაცი ყარაული რათ უნდა? ან რას ჰყარაულობენ ნეტავი გამაგებინა?

მგონია, იმ მონასტრში აღარაფერია დარჩენილი ცარიელი გამოქვაბულების მეთი. თუ კი ყარაულები საქირო იყვნენ უფრო არეულობის დროს

არ უნდა ყოფილიყვნენ „მეფხვის-ტყაოსნის“ და რაჯგები დაყენებულნი, მაგრამ, რა სათქმელია, განა ენლა კი მართლა დარაჯობენ? სულაც არა. მონასტრის ბერი ფულს ართმევს ზოგს სოფელს ხუთს თუმანს, ზოგს მეტს და ზოგს ნაკლებს. სულ შვიდი სოფელია ქართველებისა, ესე ოც თუმანზედ მეტს იღებს წელიწადში და იმისი დარაჯიც ეს არის და ყარაულიც. ნეტავი ქართველები სხვა ბევრებლამ მინც გაანთავისუფლონ, თუ ამ მონასტრის ამსახურებენ.

ზარდა ამისა თურმე ეს ბერი კარგი მებატონესავით დაუფლის ამ სოფლებს და ხან პურს ართმევს, ხან სამარხოს და სასხნილოს ართმევს.

ჩოდარი ვაშლიკვარკელი.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! „დროების“ 139 №-ში არის დაბეჭდილი ვითომც რეცენზია ბ. „დამსწრესი“ უკანასკნელ(ს) წარმოდგენაზედ, რომელიც იყო არც(წ)რუნის თეატრში, წარსულს კვირას 29 ივლის(ს). რადგანაც ბ. უცნობის სტატიაში შესულა, რამთ(ე)ენიმე შეცდომილება და მე-კი ერთი მონაწილეთაგანი ვიყავ იმ წარმოდგენაში, ამისთვის მე ჩემს თავს ვაძლევა კანდიდატს, გამოვა(ა)შკარა(ე)ო მკითხველი საზოგადოების წინაშე, თუ რაში მდგომარეობს ეს შეცდომილება.—რა მიზეზი იყო, ბ. ვითომც რეცენზენტის ამ გვარი შეცდომილებისა—უბრალო ჩვეულებრივი დაუდევნლობა ამ გვარს საქმეებში, თუ განგებ, წინადაგანეე მოაზრებული ცილისწამება, ეგ ჩვენ არ ვიცით და არც საჭიროა სცნოდნელათ, მაგრამ იმას-კი ვიტყვით, რომ ამ გვარი დაუდევნელობა არაოდეს არ მიეტყვება იმის დამწერს.

მინც თავის-თავზედ საზოგადოთ რამქლსამე შრომას აიღებს და განსაკუთრებით სხვის შრომის გარჩევას, იმისი მოვალეობაა, ის შრომა გაბიჯოს ყოველის მხრით და ცოტაც არის სეინდისიანათ მოექცეს საქმეს; იმისი მოვალეობაა, საფუძვლიანათ თვალ-

მცადეთ, ყველას იცნობდეთ, მათზედ არ გქონდეთ შურიო.

ბევრია მათში თავადი, ზოგი კი აზნაურიო; ჩვენი საწყალი გლეხისთვის დიდათ შესტკივით გულიო.

ამბობენ: ყველა ძმები ვართ ზღვნი და აზნაურიო; უნდა სუყველას გავუყოთ, სიმინდი გვაქვს თუ პურიო.

დღეს რომ გვატყუებს ვაჭარი, ჩვენზედ რომა აქვს შურიო, ნახევარ ფასად რომ მიაქვს სიმინდი, ფეტვი, პურიო.

აღარ მოვსტყუედეთ იმათგან, სწავლას მივაპრაათ ყურიო;

მინც რომ სწავლისთვის დაგეცინოს, სხვირზედ წავუყვით მურიო...

საერთოთ ღუქნის გახსნისთვის ჰკითხეთ სხედამესაო, ამ გვარის კეთილ საქმისთვის შეველას მოგიწყობს ხელსაო;

შული დაგჭირდეთ, ესესხეთ ბატონსა ილიასაო; მამობრივი დარიგება დიმიტრი შიფიანსაო;

სხვა-და-სხვა კაი ლექსები აკაკა წერეთელსაო, არ დაიშურებს თქვენთვის ის და გავისწორებს სხეებსაო;

ზღაპრები, გამოცანები რაფიელ შირთავსაო,

ზღვნი-კაცის განათლებისთვის ის არა ზე გავს თავსაო.

მეა და ლექსი ნაქები ბრიგოლის მრბელისაო, ის არის ყველას მოწყალე ძერივის და ობოლისაო;

ისტორია მშენიერი დიმიტრი ბაქრაძისაო, არხელოგი, ძველის მცნობი სხვა-და-სხვა ნაშთენისაო;

ღრამა, მოთხრობა, რომანი ანტონ შურცელაძისაო, ძველი წიგნების შეკრება ზაქარა ჰიჭინაძისაო.

დიდა მადლობას ვუძღნიდეთ მესხსა და ჰავჭავაძესო,

რომ გვიგზავნიან ვაზეთით სხვა-და-სხვა კაი ნაწერსო

და მით გვადვილებს ჩვენ გლეხებს საწყალსა, მშრომელს ხალხსაო; არამც თუ მართა ჩვენ გლეხებს, მრავალსა კიდევ სხვასაო.

ახლა მივმართამ ხელოვნებს, მათზე დავიწყობ სჯასაო; მინდა რომ რამე ვუჩირო,

მაგრამ რა ვუყო ამ საწყლებს ვერ ვამუშავე ერთათო, ხეხო, შორევი და ალბერტი მათ განდომიანთ ღმერთათო.

ნეტა რა არგებს ამათ სენს, მათ მოვაშოროო რითიო;

სურვილი გააღვიძროს, რაგორც ავტორის, ასე თავის სიტყვებს და აზრს. შამი-სათ კაცი ყოველთვის შეგა შეგდა-მალებში და თავისავე უნებურათ წამოხრწამს იმას, რისაც თქმა თითონაც არა სურდა.

შა ვნახოთ როგორ ექცევა, ბ. ვითომც რეცენზენტი, სხვის შრომას და რამთ(გ)ენათ სიმართლით მოჭკავს სხვა-და-სხვა მაგალითები.

ამ პატივ-საცემმა მწერალმა, თავის სტატია იმ გვარათ დაიწყო, თითქმის მართლა რეცენზენტი იყო(ს) და აპირებდა საზოგადოათ მთელი წარმოდგენის და განსაკუთრებით—ორი ახალი პიესის—გარჩევას. ბოლოს-კი გამოვიდა, რომ იმას მხოლოდ ერთი პიესა ჰქონია მხედველობაში და ეს პიესა განლაგებ 2 მოქმედ. კომ. „მრი ქორწილი ერთათ.“ გადმოკ. ბ. მოხსუბარიძისაგან!! რისთვის აკეთა წყალობა (რისთვის ასეთი ენის დამახინჯება!!)—თუ წყალობა ბ. ვითომც რეცენზენტისა მოხსუბარიძე-სგად რა მოგახსენოთ, მაგრამ-კი, რომ ეს შემთხვევა არ იყოს ისე უბრალოთ მომხდარი და ყველასაგან ყურათ-ღებვის ღირსი იყოს (ღიანაც!).

მთქვით მოხსუბარიძე, თავის პიესითურთ—არ მოსწონს ბ. ვითომც რეცენზენტს, ვე თავისა (იმისივე) ქეიფი განლაგებ, შეუძლიან არ მოსწონდეს და კიდევ ლანძღოს (ჩვეულებრივ-მებრ) რამთ(გ)ენიცა სურს (იმას), მაგრამ იმან თავისი ვითომც რეცენზია ისე რომ დაიწყო, თითქოს არ ახალ პიესას უპირებდა გარჩევას, რატომ იმ მეორე პიესაზედ აღარა თქვა-რა! (საქმე ბძანეთ, საქმე)... რატომ თავისი მარილიანი ენით არ დაგვანახვა იმ პიესის ღირსება და ნაკლებლოც(ვე)ნება?... თუ ბ. „დამსწრე“ რეცენზენტობასა ჩემულობს, წარმოდგენების ანგარიშიც სრულათ და საუფი(ღ)ლიანათ უნდა დაგვანახოს—თავის მოქმედებაში ან უნდა სეფ-მძღვანელობდეს მიდგომ-მოდგომით (სასამართლოში დავა ხომ არა გაქვით-რა ერთმანერთში თქვენ და რეცენზენტს) და თუ უამისობა არ შეუძლიან, მაშინ ხელი არც უნდა მოკიდოს ამ გვარს გარჩევას. მაგრამ მე

დამავიწყდა, რომ საქმე მაქვს არა რეცენზენტთან და მხოლოდ ვითომც რეცენზენტთან, რომელსაც მხედველობაში ჰყავს მარტო მოხსუბარიძე და ის უტკივლებს თვალებს. ამის მიზეზით ბ. „დამსწრე“ ბევრი რამ მოტყევა, ნამეტნავათ თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ის ჯერ ენა ამოუღმეფელი ბაშვია და ჯერ არ დაჩვეულა აზრის მოწყობას და ლოდიკურს მიმართავს. (შეასწავლეთ, თუ ღმერთი გწამთ, რა არის ლოდიკური მიმართვა.) მე დაგპირდით დაგანახოთ (დურბინდით?) ის სიტყვები, რომელიც არის დაბეჭდილი ნაოქვანს „ღროცების ნომერში და რომელსაც თავს ახვევს ბ. ვითომც რეცენზენტი ჩემს პიესას „მრი ქორწილი ერთათ.“ ამისათვის იძულებული ვარ გამოვეწერო რამთ(გ)ენიმე (ეს მესამედ შესცდა კორრექტორს ამ ე-ს გამოკლებად) სტრიქონი ხსენებული ვითომც—რეცენზიტიდან. ბი რას ამბობს ბ. დამსწრე:

.....„მრი ქორწილი ერთათ დაწერილია ქართულის სიტყვებით და რუსულის ფრაზებით. დავასახლებ მაგალითებს: ბიორგი ამბობს ერთს აღაგას: „ჩემით ხომ ითამაშეთ,“ ეს განლაგებ სიტყვიერთად გადმოთარგმნილი, რუსული წინა(-)დადება. ან ეს როგორ მოგწონს: „ათასი ურიგობა მომავარა ჯორის წიხლებსავით,“ ან კიდევ: „ქალაღში თამაშობა, ეს რამთენიმე ნიმუში ბ. მოხსუბარიძის მარილიანი ენისა, მგონია საკმაო იყოს, რომ გაიგოთ....“ და სხვა.

ღიან, ბ. ვითომც რეცენზენტო!... საკმაო განლაგებ, რომ გაიგონ რა საშუალო(ღ)ბასა ხმარობთ საზოგადოების წინაშე იმისთვის, რომ შეაყვართ ის(,) ვინც თქვენ რიღასთვისაც შეგყვარებიათ და შეაძავოთ ის(,) ვინც თქვენ რიღასთვისაც აგი-თვალწუნებიათ. სიტყვები: „ათასი ურიგობა მომავარა ჯორის წიხლებსავით,“ განლაგებ ქართული სიტყვები, ქართულათვე ნათქვამი და ქართულისავე წინადად(ა)დებით, რომლის მნიშვნელობასაც გაიგებ: ყველა ქართველი, გარდა ქართული ენის მცოდნე, ბ. ვითომც რეცენზენტისა. (შე-

ლა ქართველი გაიგებს ამ ფრაზასაც: „წადი იმ კაცის თავი მოიტანე.“)

სიტყვები: „ჩემით ხომ ითამაშეთ,“ განლაგებ ჩემი სიტყვიტიდან (განგებთუ მოუაზრებლობის გამო) გადმოკეთებული, ბ. ვითომც რეცენზენტი-საგან და თითონ პიესაში კი აი როგორ განლაგებ ნათქვამი: „ჩემზედ ხომ იმასხარავეთ.“ რაც შეეხება სიტყვებს: „ქალაღში თამაშობა,“ ამ პიესაში არამც თუ მაგ გვართ, სრულებით არც ერთ გვართ არ არის ხსენებული, არც სათამაშო და არც საწერი ქალაღი! (თქვენ თქვენსავე ენით წარმოსთქვით ესა გაუსწორებლათ; იქნება მართლა სხვის პიესაში იყო; შეგვეცდომია, მოგვეტყვეთ.)

მე ამ ჩემის რამთ(გ)ენიმე სიტყვით, არ მინდა დავამტკიცო, რომ უნდა-გვლი ვიყო ქართული ენის ცოდნაში (სრულიად დამტკიცეთ) ან ვინ არის უცოდველი (თქვენს მეტი) იმის (ვის?) წინაშე, გარდა სამიოდე პირისა, ამ საბრალო ღროში, როდესაც:

ბედაურები დაიხოცენ,
..... (ბარემ გაათავოთ.)

არამედ მე მქონდა მხედველობაში დამენახებინა, მკითხველი საზოგადოებისათვის, თუ რა რიგათ არჩევთ(ენ) პიესებს ბ. ვითომც რეცენზენტები და რა საშუალო(ღ)ობასა ხმარობთ(ენ) იმათ (ვის იმას?) დასარწმუნებლათ, თქენი სიტყვების ჭეშმარიტებაში და მგონი კიდევ დავანახვეთ. (ძალიან კარგად, ძალიან.)

კიდეც ერთი კითხვა ბ. ვითომც რეცენზენტო და გავათავებ ჩემს საუბარს. (ღროც არის.)

ა) რისთვის იგონებთ იმისთანა სიტყვებს, რომელიც მოხსუბარიძის პიესაში არ არის და „ღროცაში“-კი (ისე) სწერთ ვითომც არის (იყოს)?

ბ) რისთვის ასხვადებთ, პიესიდან აქა-იქა, ამოგლეჯილ სიტყვებს და იმათ მაგერიც(ად) მოგვავს თქვენგან დამახინჯებული სიტყვები?

ღ) რისთვის შედისართ ამ ენის განჩევება, რომელიც თქვენგან ისე დამორებული არის, როგორც ცადედა-მიწაზედ? (თქვენზედ როგორ-ღა დაანლოცებული?)

თქვენ ან ცილის წამებით გინდათ დამტკიროთ ჩემი შრომა—ან მოხსუბარის ხანჯლების ტრიალს და თავლების ბრიალს, უხუშროთ შეუშინებინათ და თქვენ თითონაც აღარ გაგვეგებათ რასა სწერთ.

ბიან თუ მალე,
ღღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვსცოდეთ ის გასწორდება.
მაგრამ-კი თქვენნი,
მრუდე საქმენი,
ისე(ღ) (და) ისე(ღ) მრუდეთ დარჩება*).

ა. მოხსუბარიძე.

რუსეთი

რუსულ გაზეთებში სწერია, რომ ზოგიერთს ადგილებში, სადაც პურის ჭია ახზრებს პურის, ქერის და მჭვანის მოსავალს, გაჩენილა ერთგვარი ბუზი, რომელიც თურმე უწყალოდ ქლეტავს ამ ჭიას.

„ბოლოსი ამბობს, ერთი მიხეზი, რომელიც გააძნელებს ჩინეთთან მოსალოდნელ ომიანობას ის არისო, რომ სამხრეთ სიბირში რკინის გზა არ გვაქვს გაყვანილიო, რომელსაც შეეძლო ჯარის და სურსათის გადაყვან-

*) ვუკვდავთ ამ პიესაში-მოყრის წყრის მოხსუბარიძის იმის გამო, რომ ქართულად მხოლოდ ერთი გაზეთი გვაქვს და არ გვინდა მიფურება დაგვწამოს ვინმემ.

რაგორც უკუყავს მოხსუბარიძეს თავისის ფსევდონიმის თვისება იმატომ გამოუჩენია, რომ ენა დაუწუნეს. სვეს მოკთხვეთ მოხსუბარიძეს მისი პიესა, გვინდოდა; დოკუმენტი დაგვეტკიცებინა—მისი ტუფი განხარება და დაგვეწმუნებინა, რომ ძალიან შეგვეცდოდა მოხსუბარიძე, თორემ ათს და ოცს იმდენს უფრო მიძე შევდომას უჩვენებდით მის პიესაში, ვიდრე ჩვენს რეცენზიაში იყო ნათქვამი. მოხსუბარიძე არ მოგვცა ამ ერთის „დოკუმენტის“ უჩვენებლის გამო, მეორეს მიგმართეთ, აი ამ წყრის; სულ-მოყრეთ გადავივითსეთ და ენის გამაღწავლანებელს ავადგებს ქვემსწი გაუსვით. გინდეთ თქვენც მეორედ გადავივითსეთ დროს გასაცანებლათ.
რედ.

ამბობენ: წერა რას გვიზამს, ბიიხენეთ მაგალითიო,

რით შეგვიძლიან თავის ხსნა, მაჭარს მოვშორდეთ რითიო მათ რომ აქვთ ფარხა, მაულა, ჩვენ მაინც გვექანდეს ჩითიო.

აჰა, ისწავლეთ, მიიღეთ, მს ჩვენი დარიგებაო; სწავლება ჩვენი რიგია, მიღება თქვენი ნებაო.

მრათ იშრომეთ ძმურათა პეტრე, ბიორგი, ღაეთიო, რაც რომ იშოვოთ, იშოვოთ, სულ შუა გაიყავითო.

იკითხვთ გაზეთ-ქურნალი სხვა-და-სხვა ამბებისაო; იშოვეთ თარგი, ყალიბი მაგ თქვენი ხელობისაო.

სულლუტსა, მუქთა მჭამელსა, მაჭარს ნუ უგდებთ ყურსაო; ძაბინეტებში რომ სხედან სჭამენ ნატყუარ ფულსაო.

თქვენის უცოდინარობით იმას სასვე აქვს ქისაო, ღა თქვენზედ ჰყიდის ძვირ-ფასათ ჩითსა და შაბრიქისაო.

ახლა ამათი ცოლები არ მოჩიილებენ ქმარსაო, მოღნის ქურნალზედ იცემენ ჰბაძამენ მიღარ ქალსაო.

პარიტელებსაც ეს უნდათ: ბზანთან სხვა-და-სხვასაო; *) ჩვენსა უმეცარ ქალებსა ამით აძრობენ ტყავსაო.

ამერიკელი გვიჩვენენ, როგორ მოვეყუართ ქალსაო, რომ გაისარჯონ, იშრომონ, არ მოერიდენ ხალხსაო.

*) მოღნის ყუნჯალს.

სახლში ნუ გყავთ დამწყდელი, ნუ აძლევთ ჯიბის ფულსაო; ჰხედავთ ფულით გიმონებენ ღა მით გაძრობენ სულსაო.

ამერიკელი ქალები არ ეწყობიან შურსაო; ძალაქებში ხელოსნობენ, სოფლებში მკიან პურსაო.

უნდა იცოდეთ, სწავლობენ რა-ღა-რა ხელობასაო; ძინძვას, კერვასა, ღურგლობას, კიდევ სხვა ხელობასაო.

წერას და კითხვას მისდევენ, სკოლების გამართვასაო ღა არ უთმობენ მდიდრებსა ღარიბის დაჩაგვრასაო.

რადგან ამ გვარად შრომობენ, აღარც ჩვენა ვსთხოვთ ფულსაო ღა არც იცემენ კაბებსა საძუით ჩამობმულსაო.

შევართ სამშობლო მამული შვილსაც უზღიან სრულსაო, სადაც კი ვაუჭირდებით, ხედ დააკლამენ გულსაო.

ნეტავი იმათ დედობას, ნეტავი იმათ სულსაო, რომ ზრდიან ნამდვილ ქალებსა, არა ჩვენსავით ფურსაო.

რომლებიც სხედან უქმათა ჰბადვენ მრავალსა შურსაო ღა აყვედრიან საწყალ ქმრებს მზითვეს და ჯიბის ფულსაო;

ძართული ენა არ მოსწონთ მერც უსწავლიათ სხვისაო, სადაც არ უნდა ხმარობენ „მერსი“ და „ნიუტლისაო“.

1 მარტს, 1880 წ. გ.ქსი.



გადმოყვანის და გადატანის გაადვილება. ზაზეთი ამბობს ჩინელებმა კარგად იციან ჩვენი ძალა და ამიტომაც ისინი ჩვენს ომში დამარცხებას კი არა ნელ-ნელა დასუსტებას მოინდომებსო და ამის გამო საჭიროა, რომ ახლავე დავიწყებდეთ სიმბირში გზის გაყვანასო.

უცხოეთი

წერილი აგაპი. „Moniteur Universel“-ს ბერლინიდან ატყობინებენ, რომ იქ ახლა უფრო ეჭვი აქვთ საბერძნეთ-ოსმალის საზღვრის საქმის გარდაწყვეტისა, ვიდრე ბერლინის კონფერენციამდე ჰქონდათო. სახელმწიფოების წარმომადგენლებმა საერთო ნოტა წარუდგინეს პორტას, რომელშიაც მას ვადას უნიშვნენ პასუხის მოსაცემად.

„ჰაფსის სააგენტოს“ ათინიდან სწერენ, რომ ბერლინის კონფერენციაში მონაწილეობის მიმდებარე სახელმწიფოთა საერთო ნოტა 16 (21) ივლისის წადედგინება ოსმალეთსო.

ლონდონელ გაზეთს „Daily News“-ს სტამბოლიდან აცნობებენ, რომ ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებით ეხმარება და ხელსუწყობს იმ ალბანიელებს, რომელთაც ისურვეს საბერძნეთთან ან ჩერნოგორიასთან ომში მონაწილეობის მიღება. ალბანიელების მოთავენი თურმე ხშირად დადიან აბბედინ-ფაშასთან თავიანთ საქმეებზედ მოსალაპარაკებლად. სამხედრო მინისტრს ბრძანება გაუცია დაუჩქარეთ მასზე ბილამ ჯარში გასაყვან კაცების სტამბოლში გამოგზავნასო.

ვენიდან „ზოლოოს სწერენ, ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს შეერთანხმენ სანამ საერთო ნოტას წარუდგენენ ოსმალეთსო.

ნარკვი

ლექსიკონი

ბატონი მწერლობაში ახლად შემოდებული სიტყვა, რომელიც შემოკლების დროს „ბატ-ად“ გადაიქცევა ხოლმეო.

ს.

სკანდალი წარმოშობს სკანდალს, რომელიც აწარმოებს კანდალს.

ტ.

ტრაჟიკონი ლათინურის ორის სიტყვისაგან შედგება — ტრიუმ და ვინი; ინახევის „პაპორის“ რედაქციაში.

* *

მწველელი ციკანი. ახალ-ქალაქის მაზრის სოფელ ზოგაშენიდან გვე-

რენ: ერთმა თხამ ციკანი მოიგო და ის ციკანი ისე იწველება, როგორც დედა-თხა. მე თვითონ ვნახე და მითხრესო, ამის რძე უფრო ნოყიერი არისო დედის რძეზედაო. ძუძუები პატარა აქვს და თუ არ მოსწველეს ტკივილს დაუწყებს. იწველება ცოტას.

* *

ამერიკიდან იწერებინან, რომ ივნისში იქ საშინელი სიცხეები დაუტყვრია: ორს დღეს ნიუ-იორკში ორმოც-და-ექვსი კაცი მომკვდარა დასიცხვისაგან.

განსხვავებანი

დაბოლოებითი

დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მალაზიაში, ანწრუნის ქარვასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პარუტინები, სურათები, ღუბები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები, კოვზები, სამწყურელო ციტრატ მანგები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან არის.

(10—1)

ბუბია

მარიამ შილჩაკოვისა, მცხოვრები საპრის ქუჩაზედ პარატინსკის სახლში მე 24 ნომრისაში, იღებს თავის სადგომში, სრულოს ხარჯზედ იაფათ, მშობიარეთა და ყოველ უძლურ ქალებს, რომეინიც ავთ-მყოფობენ დედაკაცურის ავთ-მყოფობითა. მოგლა ავთ-მყოფთა ექმნებათ თვითონ შილჩაკოვისაგან თანამემწეობითა სვეციალურის ექიმისა.

(3—1)

ქუთაისის ქალაქის გაგზავრა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანამეგს ამ იჯლისს, შაბოს, იმის თანდასწრებით, გამგეობის სადგომზე იქნება ვაჭრობა ქალაქის ქუჩების განათების იჯარით გაცემაზე, — ორის წლის ვადით. (რიცხვი ფარნებისა არის ორას სამოც-და-რვა,) ვაჭრობა იქნება სიტყვიერი, მაგრამ მსურველს შეუძლია დაბეჭდილის კონვერტითაც შემოვიდეს ვაჭრობაში. — როგორც სიტყვიერი ისე დაბეჭდილის კონვერტით წინადადებები შემოტანილნი უნდა იქნენ ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდე, ვაჭრობა დაიწყება 12-ს საათზე, გათავდება ორს საათზე. იჯარის პირობების (კონდიციის) გაცნობა შეიძლება ყოველ დღე თავთ უპრავაში, დღის ცხრა საათიდან ვიდრე 2-ს საათამდე.

(3—2)



მოკლეს ქვეყნაში გასაჩივრებელი და ყველასსაგან ხმა-



რებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიციხისაგან გახდებოდა ხოლმე, გასსაკუთრებით სძინათ ფეხის თითებს შუა.

გალმანი

(Гальманинъ)

ისეილება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მალაზიაში ეგროპის ყველა დიდ ქალაქებში. მოავარა დეპო ამ წამლისა ანის ფარმაცუიის მატისტრის გ. კანზინსკის აფთიაქში ქ. ვან-შავაში, ელექტორადის ქუჩაზე, № 35.

დიდი კანთბა გალმანისა კანშავაში 50 კან. დონს, შატარა — 30 კან.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანი არ შემოგატყუონ.

გ. კანზინსკი.

(25—16)

სამხედვარ-განკეთის ყოველ-გვარ საგანგაო სასაღებთან ზინდად ნაცნობობამ და ზინდაზინის კავშირის ქონებამ, შეგვამდებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

ს ა კ შ თ რ ი

საფლვარ ბარბთელ მოლის საქონლისა

NOUVEAUTÉS PARISIENNES-ის

ფ ი რ მ ი თ

მაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიძედელლობთ, რომ ის არ დაგეტოვებს უყურადღებოთ და ღირს გეყოფს მოგემართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის მამულოებით შეიძლება სამხედვარ გარეთიდან ყოველ-გვარ მანუების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მალაზია არის ბიძინის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

იგანე ნიკოლაძე შეილუბითურთ.

პატენტირანი უჩოტაები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სასუნავებით 2 მანეთიდან; სანძვე 30 კან.; რუქები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუქ; შოკალადის კანფეტები 20

კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლის სურს მალაზიაში.

(100—19)

სოფელში და მოგზაურთა შორის

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკეიტები, კანფეტები, ციტრატ-მანგებია და თევზის საჭერი ჯოხები ისეილება ინგლისის მალაზიაში — 3 მანეთიდან 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისეილება ინგლისის მალაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

წამოსასხმელი! წამოსასხმელი!
წამოსასხმელი!!

ინგლისის მალაზიაში 3 მანეთად 25 კაპეკად!

წინდები და ჩულქები ღუჭინი 2 მანეთიდან!

(30—20)

ახლანდელ დიდს

გაგოფენის

დროს,

ფლეგმატიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაგ-ინტოშები (მალაზიაზე) 6 მანეთიდან 20-მდე; შხოტები მალაზიაზედ თითო 75 კ.; შეგვითლია შეფუთულში განსაკუთრებით ინგლისურ მალაზიათის საუკეთესო სამანთებლები, ნწყვილია ბუდეებით დონს 4 მან.; შეფუთულის დანები ჩანგლებთან დუჭინი 2 მ. 75 კანევიდან 20-მანეთამდე. ჩანინები ბრიტანის მეტალისაგან 30 კანევიდან 3 მანეთამდე; ციტრატ-მანგეზია, ოსმალის შაბათია და სამწყურალო ყვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო შოტ-გვინი და ხერესი 1 მ. 40 კ ბოთლი, და შამპანის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მალაზიაში.

(40—30)

პარუსინა, ბუმბაცია, ტრიკო, დრაპი, ხვერდი მებელისა და ფეტონებისათვის, უნაგირები, ფოტის ქალაღი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისეილება ინგლისის მალაზიაში.

მურაბა გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნებია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩანინები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისეილება ინგლისის მალაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავთიმოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად — ფასი 1 მან. — ინგლისის მალაზიაში.

(40—15)